

HISTORY OF THE NATIVE COUNTRY FOR GEORGIAN EMIGRANTS
(S. PIRTSKHALAVA'S "HISTORICAL SHADOWS")

მშობლიური ქვეყნის ისტორია ემიგრანტი ქართველებისათვის
(ს. ფირცხალავას „ისტორიული ლანდები“)

Tamar Gogoladze

Doctor of Philology,
Professor of Gori State University,
53 Chavchavadze St., 1400, Gori, Georgia
+995577251272, tamilagogoladze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-0450-2924>

Ketevan Barbakadze

Doctor of Pedagogical Sciences
Associated Professor of Gori State University,
53 Chavchavadze St. 1400, Gori, Georgia
+995577151211, qbarbakadze@gmail.com
<http://orcid.org/0000-0002-8706-2102>

Abstract. Until the 1930s, introducing the younger generation to the historical past and exemplary heroes of their native country depended on the level of knowledge of the “Life of Kartli”, Iv. Javakhishvili’s “History of the Georgian Nation” and the teacher himself, to which were added the requirements of the so-called “conjunctural framework” of socialist realism. Moreover, for almost a dozen years, the families of representatives of the exiled government of independent Georgia and the already grown-up younger generation did not have the appropriate material, a source of knowledge about the history and heroic past of the unknown homeland. This noble task was undertaken by one of the signatories of the Act of Independence, a figure passionately devoted to his country, Samson Pirtskhalava (1872-1952). His work was studied and researched only 30 years after his death. S. Pirtskhalava who was in emigration, was engaged in pedagogical activity, teaching the Georgian language and literature, the history of Georgia to the new generation of emigrants, which was followed by the publication of “Historical Shadows” in Paris in 1934, which was important for young readers to read and understand, and which was compiled into small main episodes of Georgian history. In the 1990 edition, “King Tamar” was added separately, published in Paris in 1939.

The life and work of S. Pirtskhalava as a Georgian book publisher, politician, and journalist has been studied at various times both in print and online, but S. Pirtskhalava’s methodical approach to providing historical passages to the emigrant generation will be presented and discussed for the first time in this article. In turn, it is a unique phenomenon in the teaching of the history of one’s native country in emigration and creates new perspectives for the future, which is also the purpose of our article.

Keywords: Historical shadows; Chronicle; Fantasy; Legend.

თამარ გოგოლაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
 ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
 +995577251272, tamilagogoladze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-0450-2924>

ქეთევან ბარბაკაძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი,
 ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
 +995 577151211, qbarbakadze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

აბსტრაქტი. გასული საუკუნის 30-იან წლებამდეც კი მშობლიური ქვეყნის ისტორიული წარსულისა და სამაგალითო გმირების გაცნობა ახალგაზრდა თაობისათვის საქართველოში „ქართლის ცხოვრების“, ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიისა“ და თვით მასწავლებლის ცოდნის დონესა თუ მიწოდებაზე იყო დამოკიდებული, რასაც ემატებოდა ე.წ. სოცრეალიზმის „კონიუქტურული ჩარჩოს“ მოთხოვნებიც. მით უფრო, რომ თითქმის ათეული წლების მანძილზე დამოუკიდებელი საქართველოს დევნილი მთავრობის წარმომადგენელთა ოჯახებს და უკვე წამოზრდილ ახალთაობას არ გააჩნდა სათანადო მასალა ცოდნის წყარო მისთვის უცნობი სამშობლოს ისტორიასა და გმირულ წარსულზე. ეს საშვილიშვილო საქმე იკისრა დამოუკიდებლობის აქტის ერთმა ხელმძღვრთაგანმა, თავისი ქვეყნის სიყვარულით გულანთებულმა მოღვაწემ სამსონ ფარცხალავამ (1872-1952). მისი საქმიანობის შესწავლა-გამოკვლევა გარდაცვალებიდან მხოლოდ 30-იოდე წლის შემდგომ მოხდა. ემიგრაციაში მყოფი ს. ფირცხალავა ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას ემიგრირებულ ახალ თაობას, რასაც მოჰყვა ნორჩი მკითხველისათვის საქართველოს ისტორიის პატარ-პატარა მთავარ ეპიზოდებად შეკრული, წასაკითხავადაც და აღსაქმელადაც მნიშვნელოვანი 1934 წელს პარიზში მის მიერ გამოცემული „ისტორიული ლანდები“, რომელსაც ქართულ (1990 წლის გამოცემაში) დაემატა ცალკე, 1939 წელს, პარიზშივე გამოცემული „თამარ მეფე“.

ს. ფირცხალავას, როგორც ქართული წიგნის ამაგდარის, პოლიტიკოსის, ჟურნალისტის ცხოვრება-ღვაწლი სხვადასხვა დროს შესწავლილია როგორც ბექდურ, ისე ინტერნეტულ სივრცეში, მაგრამ თვით ს. ფირცხალავას მეთოდური მიდგომა ემიგრანტი თაობისადმი ისტორიის მონაკვეთების მიწოდებისა ჩვენს მიერ პირველად იქნება წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილ-განხილული თავის მხრივ რომ უნიკალური მოვლენაა ემიგრაციაში მშობლიური ქვეყნის ისტორიის სწავლებისა და ქმნის ახალ პერსპექტივებს სამომავლოდაც, რაც კი წარმოადგენს ჩვენი სტატიის მიზანსაც.

საკვანძო სიტყვები: ისტორიული ლანდები; მატთანე; ფანტაზია; ლეგენდა.

შესავალი. ემიგრაციაში წასული ქართველი მეცნიერები თუ საზოგადო მოღვაწეები არ წყვეტენ ზრუნვას უცხოეთში მყოფთა შთამომავლობის მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და კულტურული წარსულის გასაცნობად. ერთი ამათგანი იყო სწორედ სამსონ ფირცხალავა (1872-1952), რომელმაც მოხუცებულობის ჟამსაც კი არ შეიკავა თავი სამშობლოში დაბრუნებისას მოსალოდნელი საფრთხეების წინაშე: სამსონ ფირცხალავა აღესრულა მშობლიურ საქართველოში, მაგრამ მისი ღვაწლის გამოკვეთა მაინც შეძლეს ქართველმა მკვლევარებმა: ლ. ნანიტაშვილმა („წერილები“ 1981), (კრებულში: „ქართული წიგნის ამაგდარნი“, 1985), გ. ბაქრაძემ, (ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში), უ. სიდამონიძემ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, X, 1986), გურამ შარაძემ („ისტორიული ლანდების“ გამოცემის ბოლოსიტყვაობაში 1990 წელს), პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ და სხვ.

ჩვენი სტატია კი მიზნად ისახავს იმ სპეციფიკის წარმოჩენას, რითაც გამოირჩევა ემიგრაციაში მყოფი ქართველი ახალგაზრდა თაობისათვის საქართველოს ისტორიის გამორჩეული ეპიზოდების მიწოდების განსაკუთრებული მანერით, სითბოთი, სიყვარულით, სამშობლო ქვეყნის ისტორიის მოწმე „ქართლის ცხოვრების“ გამორჩეული მომენტებით. როგორც თვითონ ს. ფირცხალავა აღნიშნავს: „ისტორიული ლანდები“ თავისუფალი შემოქმედების ნაყოფია, თუმცა მტკიცედ ემყარება ისტორიულ სინამდვილეს. ხოლო „ისტორიულ ამბებს“ ვიღებთ „ქართლის ცხოვრებიდან“, ხანდახან შეგვაქვს მცირეოდენი ცვლილება, ხან დავურთავთ რასმე, ხან მატანეს მოცემულ თეზას გავშლით და გავაფართოვებთ, ხოლო ფაქტებს არასოდეს ვღალატობთ. „ქართლის ცხოვრების“ ნაამბობს აქა-იქ ლეგენდარული ხასიათი აქვს, მაგრამ ეს ლეგენდაც ძვირფასია, რადგან გამოხატავს ჩვენი ერის იდეალს, რწმენას, მისწრაფებას“. (ფირცხალავა, 1990: 5-6) (ხაზი ჩვენია - თ.გ., ქ.ბ.). როგორ წარმოადგინა ს. ფირცხალავამ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები, სწორედ ამის ჩვენება - ანალიზს ისახავს მიზნად ჩვენი სტატია.

მეთოდები. გამოყენებული იქნება ძირითადად კომპარტივისტული, ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. სამსონ ფირცხალავას შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ფართო მასალას იძლევა. მისი ჟურნალისტური მოღვაწეობაც მნიშვნელოვნად ასახავს პიროვნების დახვეწილი წერის მანერას, გულის სითბოთი აღსავსე სტრიქონებსა და, რაც უმთავრესია, მწერლურ ნიჭს, ეს ყველაფერი მას უზარმაზარმა გამოცდილებამ მისცა ჯერ იდევ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლა, ქართულ პრესასთან ყმაწვილის თანამშრომლობა „სან-ვინის“ ფსევდონიმით, შემდგომად კი, 1893-1898 წლებში იგი, როგორც პეტერბურგის იურიდიული ფაკულტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარე, უახლოვდებუნნივერსიტეტის ა არჩილ ჯორჯაძეს, გრიგოლ რცხილაძეს, ივ. ჯავახიშვილს და სხვ. ამ პერიოდში იქმნება მისი მონაწილეობით საბერძნეთის განმათავისუფლებელ ბრძოლასთან დაკავშირებით ილიასა და გიორგი წერეთლისადმი მიწერილი წერილიც.

საქართველოში დაბრუნებული სამსონ ფირცხალავა პოლიტიკური მოღვაწეობის პარალელურად ფართო საქმიანობას ეწევა. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი რედაქტორობით გამოცემული ქართველ მწერალთა თხზულებანი, ჟურნალ-გაზეთები, ვრცელი პუბლიცისტიკა და ფოლკლორული მასალები. სწორედ მას ეკუთვნის გ. სალარიძესთან (ახალციხელი) ერთად კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“ (1907 წ.), „რომლის შემოსავლის 25% ილიას „ეროვნულ ფონდს“ გადაეცა. ამ კრებულს, გამოსვლისთანავე, მაღალი შეფასება მისცა ალ. ხახანაშვილმა და სადღეისოდ

წარმოადგენს კიდევ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას, როგორც ს. ფირცხალავას ერთი პირველი მკვლევართაგანი ლ. ნანიტაშვილი აღნიშნავს.

საქართველოში უამრავ ლიტერატურულ-გამომცემლობით მოღვაწეობასთან ერთად სამსონ ფირცხალავა ისტორიული ნაშრომების ავტორიც არის, მაგალითად, „სამაჰმადიანო საქართველო, ან ძველი მესხეთი“ (ტფ., 1915). მისი ნიჭი და თხრობის არაჩვეულებრივი მანერა იქცევდა მკითხველის ყურადღებას. მაგრამ პოლიტიკური მოღვაწეობის პროცესებში მონაწილეობასაც თავის მოვალეობად მიაჩნდა ქართველ მამულიშვილს: „1917 წელს იყო საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს წევრი... არჩეული იყო ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, იყო საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი სოციალ-ფედერალისტური პარტიიდან, იყო დამფუძნებელი კრების ადგილობრივი თვითმმართველობის, საპროპაგანდო, სარედაქციო და ხელოვნების კომისიის წევრი, სათავეში ედგა ფედერალისტთა საპარლამენტო ფრაქციას, რომელმაც მმართველი სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ოპოზიცია შეადგინა... მისი პუბლიკაციები გამოირჩევა პრობლემათა მრავალფეროვნებით, დაკვირვებული ხედვით, სადა და ფართო მკითხველისათვის გასაგები სტილით“ (ჯანელიძე, 2024: 338).

1922 წლიდან, საბჭოთა ოკუპაციის შემდგომად, ს. ფირცხალავა გახდა პოლიტიკური ემიგრანტი, გაემგზავრა საფრანგეთში და აქ, ლევილში, განაგრძობდა თავის საქმიანობას, XX საუკუნის 20-30-იან წლებში თანამშრომლობდა საქართველოს პოლიტიკური პარტიების სოციალ-დემოკრატთა, ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა საერთო ორგანოში, „დამოუკიდებელი საქართველო“, რომელშიც პირველად დაიბეჭდა „ისტორიული ლანდები“ (1930 წლის მაისი, #53), (1931 წ. მაისი, #65), „ისტორიული ამბები“ 1932 წ. თებერვალი, #74, მარტი #75, აპრილი, #76, მაისი, #77, ივნისი, #78, აგვისტო, #80, 1933 წ., მაისი, #89), რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა პარიზში 1934 წელს ემიგრაციაში მყოფი ახალგაზრდა თაობისათვის, რომელსაც ქართულ ენაზე ს. ფირცხალავას „ისტორიული ლანდების“ გამომცემელმა გურამ შარაძემ დაურთო 1939 წელს პარიზშივე გამოცემული „თამარ მეფე“. გარდა ამისა საფრანგეთშივე გამოიცა სამსონ ფირცხალავას „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში“ (1947 წ.).

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ქართველ ემიგრანტ ბავშვებთან ს. ფირცხალავა საქართველოს ისტორიას კვალდაკვალ ეცნობოდა, სწავლობდა და ასწავლიდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მეთოდით: „განსაკუთრებით საჭიროა ქართველი ერის ისტორიის ცოდნა ემიგრანტობაში, როცა მოკლებულნი ვართ საშუალებას უშუალოდ განვიცადოთ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი. აქ შეგვიძლია მხოლოდ მშობლიურ ისტორიაში ხშირი ჩახედვით და ისტორიული ამბების მოგონებით გავიცხოველოთ ჩვენს შემეცნებაში ქართველი ერი და წარმოვიდგინოთ იგი, როგორც სრული რეალობა განსაკუთრებული იდეა“ (ფირცხალავა, 1990: 5). ს. ფირცხალავამ ვერ გაუძლო უცხოეთში ბოლომდე ემიგრაციას, მაგრამ შინ დაბრუნებულს კვლავ ეწია „საბჭოური სამართალი“. 1951 წლის ბოლოს ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით დააპატიმრეს და შრომა-გასწორების კოლონიაში 25 წლით პატიმრობა მიუსაჯეს... ბოლო კვლევების თანახმად ს. ფირცხალავა თბილისში, ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა 1952 წლის 26 ივლისს (საქ. დამფუძნ. კრება, 1919, თბ., 2016, გვ. 396) (ჯანელიძე, 2024: 339).

რა წყაროებით სარგებლობდა ს. ფირცხალავა „ისტორიული ლანდების“ დაწერისას და როგორ? სწორედ ეს წარმოადგენს კიდევ სტატიის ძირითად მიზანს.

„ქართლის ცხოვრების“ I ტომის 1955 წლის გამოცემამდე არსებულ ბროსესეულ, ზ. ჭიჭინაძის მიერ აღდგენილ დიმიტრი ბაქრაძისა და ივანე ჯავახიშვილის აღმოჩენებსა თუ შრომებს ს. ფირცხალავა, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას უნდა გასცნობოდა. მაგრამ 1930 წლისათვის მას, ალბათ, თან უნდა წაეღო ემიგრაციაში რამდენიმე მათგანიც, რასაც ცხადად მოწმობს ერთი ამონარიდი ლეონტი მროველის

თხზულებიდან („წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა“).

„და ვითარ გარდაჰდეს წელიწადნი ორმოცდაათნი, კუალად მოვიდა ჭიჭნაუმ, მე მოჰამედისი, მოაოპრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა და მიმართა შესვლად კახეთად, რათამცა მოაოპრა და ყოველითურთ უმკვდრო ყო. და იყო შიში დიდი მეფეთა და მთავართა და ყოვლისა ერისა, და არა შემადლებელ იყვნეს წინააღმდეგობად. რამე თუ რაიდგან განერყუნა ქუეყანა ესე ყრუსა, დაღაცათუ გარდავლნა ჟამნი მრავალნი მშვიდობით, არღარა მოგებულ იყო კუალსა თჳსსა“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 245).

ს. ფირცხალავას „ისტორიულ ლანდებში“ ეს მონაკვეთი ბრჭყალებითაა შემოსაზღვრული (თუ ეს თვით გამომცემელს გ. შარაძეს არ ეკუთვნის?)

და ვითარ გარდახდეს ამას შინა წელიწადი ორმოც და ათნი, კვლავ მოვიდა ჭიჭუმ ასიმ, „ნათესავი მოჰამედისი, მოაოხრა და შემუსრნა ყოველი შენებული ქართლისა და მიმართა კახეთად, მოაოხრა და ყოველითურთ უმკვდრო ჰყო. და იყო შიში დიდი ყოვლისა ერისა და გადაწყვიტა მისვლა ჭიჭუმ, რათა ითხოვოს მისგან არა შემადლებელ იყვნეს წინააღმდეგობად, რამეთუ განერყვნა ყრუსა და თუმცა მრავალთა ჟამთა განვლეს მშვიდობით, მაგრამ არღარა მოგებულ იყო კვალსავე თვისსა“ (ფირცხალავა, 1990: 19).

თუმცა ეს შედარება ზედაპირულია, მაინც მოჩანს აშკარად, რომ ს.ფირცხალავას უნდ ესარგებლოს ლ. მროველის ტექსტიდან თავად ეპიზოდი „ისტორიულ ლანდებში“ დასაბუთებულია ასე „არჩილის თავის განწირვა“ და მასში ყურადღება გამახვილებულია არჩილის გამეფებისა და ცხოვრების ბოლო ნაწილზე, როდესაც ქრისტიანობისათვის წამებულ მეფეს თავი მოჰკვეთეს.

ეპიზოდში ლ. მროველთან დასახელებული არაბი მტერი „ჭიჭნაუმ“ ს. ფირცხალავასთან „ჭიჭუმ“ მოიხსენიება.

მაგალითისათვის მოყვანილი ეპიზოდის ნაწყვეტი შემდგომ მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს და მისი ციტირება მხოლოდ წყაროს მისანიშნებლად მოვიყვანეთ წინამდებარე სტატიაში. „არჩილის წამების“ ენა ლეონტი მროველისა საკმაოდ მძიმეა, მსგავსად „ვახტანგის ცხოვრების“ აღწერისა „იმავე ზღაპრული, სადევგმირო სულითაა გამსჭვალული“ (აღნიშნავდა კორნელი კეკელიძე), (ქართლის ცხოვრება, 1955: 022). ეს ზღაპრული, უფრო ზუსტად ლეგენდური ფორმა ისე ხიბლავს ს. ფირცხალავას, რომ ცდილობს, რაც შეიძლება მარტივად, მაგრამ ღრმა შინაარსის შემცველი წინადადებები მიაწოდოს ნორჩ ქართველს, ისე, რომ აჩვენოს ძირითადი და თავისებურადაც შეალამაზოს იგი. მეფე არჩილის თავგანწირვა მკითხველისათვის აღიქმება, როგორც მაგალითი მოხუცებული მეფისა, რომელიც ჭეშმარიტი „ქრისტიანის“ სიტყვებით მიმართავს მტარვალ ჭიჭუმს: „მე ვიყავი მაშინ, რა ჟამს ქართველთ დაეცნენ და შემუსრნენ სარკინოხნი და ღმერთი ცხოველი ქრისტე იყო მათთან“ (ფირცხალავა, 1990: 20).

„ისტორიულ ლანდებში“ შესულია სამი ე.წ. თავი: I-II „ისტორიული ლანდები“, რომლებშიც გადმოცემულია საურმაგისა და წმ. ნინოს სასწაულებრივი შეხვედრა, თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ლეგენდარული გამომშვიდობება იერუსალიმში წასვლის წინ. ქეთევანის წამების ჟამს აღმოხდენადი სიტყვები: „საქართველო“.

„ერთ „ლანდში“ იმერხევის მარჯვენა ნაპირზე, ვინმე ლომიძის სახლამდე ძლივს მიღწეული მომაკვდავი დედის უკანასკნელი სიტყვები: „...დაიმარხე, შვილო, გულში ჩემი ანდერძი და საშვილიშვილოდ გადაეცი: - არ დაკარგოთ ენა, ქართული ენა! - ამ სიტყვებთან ამოიღო უბიდან სათუთად გამოხვეული საოჯახო განძი, რამდენიმე საუკუნის მახსოვარი ქართული ხელნაწერი და გადასცა ნათელას, თან დაავედრა, არ დაკარგო, გაუფრთხილდი შვილზე მეტად!“ (ფირცხალავა, 1990: 10).

აქვეა მომაკვდავი საბა გადამწერის ღვთისმშობლის სასწაულქმედებით დასრულებული ეტრატი, დავით აღმაშენებლის საოცარი ჩვევა: კითხვის სიყვარული,

თამარ მეფის დარბაზობა, დავით გურამიშვილის უკანასკნელი ნატვრა, საიათნოვას ცხოვრების ერთი ეპიზოდი...

ავტორმა შემთხვევით არ უწოდა ამ პატარ-პატარა მონაკვეთებს მკითხველის „ისტორიული ლანდები“: ესენი ხომ მკითხველის გულის გასახსნელად შექმნილი თხზულებებია, რათა აღიქვას მესამე, ძირითადი ნაწილი - „ისტორიული ამბები: წმ. ნინოს სიზმარი, არჩილის თავგანწირვა, ხაკანის ტყვე, ბაგრატ მეოთხის სიკვდილი (1072 წ.), დავით აღმაშენებელი და ხოჯა იბრაჰამი, ფრთოვანნი ლომნი, „ჭალელიდინ, ცოტნე დადიანი, დიმიტრი თავდადებული, ბექა ჯაყელი, ლანგ თემურ, შუაში ჩართულია „თამარ მეფე“ 6 ქვეთავით.

დასკვნა. წიგნი უცნაური სიტუაციით გამსჭვალული, თითქოს ავტორი უზამაზარი სანთურით ანათებს საქართველოს ისტორიის გმირებსა და მათ ამბებს. ასეთი მანერა თვით უცხოელ მკითხველსაც აღუძრავს ინტერესს და, ვფიქრობ, რომ, მეთოდურადაც საყურადღებოა, მისაღები ემიგრაციაში მყოფ თანამედროვეობისათვის გასახსნელი, მაგრამ საკითხავად სადღეისოდაც საინტერესო.

ს. ფირცხალავას „ისტორიული ლანდები“ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდებით ვფიქრობთ, პირველი მეთოდური საკითხავია ემიგრაციაში ქართველი ახალთაობისათვის და, საყურადღებოც სადღეისოდ თვით მშობლიურ ქვეყანაში დამხმარე საკითხავის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

მწიგნობარი. (1980). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ფირცხალავა, ს. (1990). *ისტორიული ლანდები*. პარიზი-თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

ქართლის ცხოვრება. (1955). ტ. I. თბილისი: სახელგამი.

ჯანელიძე, ო. (2024). *ოპოზიციური სპექტრი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში*. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.

REFERENCES

mts'ignobari [Mtsignobari]. (1980). Tbilisi: Publishing House „Sabchota Sakartvelo“.

pirtskhalava, s. (1990). *ist'oriuli landebi [Historical Shadows]*. Paris-Tbilisi: Publishing House „Merani“.

kartlis tskhovreba [Kartli Life]. (1955). Vol. I. Tbilisi: State Publishing House.

janelidze, o. (2024). *op'ozitsiuri sp'ekt'ri sakartvelos demok'rat'iul resp'ublik'ashi [Opposition Spectrum in the Democratic Republic of Georgia]*. Tbilisi: Publishing House „Mtsignobari“.